სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების თაობაზე შექმნილი სამუშაო ჯგუფის

სხდომის ოქმი N 3

სამტრედია **03.08.2023წ.**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების თაობაზე შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომა ჩატარდა 2023 წლის 3 აგვისტოს, მერიის ადმინისტრაციულ შენობაში, მისამართი სამტრედია რესპუბლიკის ქუჩა N6.

სამუშაო ჯგუფის სხდომა მოწვეული იქნა 2024-2027 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების თაობაზე სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 28 თებერვლის Nბ62.6223059001 ბრძანების და აღნიშნულ ბრძანებაში მერის 2023წლის03.07.ბრძანება#ბ62.2318418-ით შეტანილი ცვლილებათა შესაბამისად. სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობს-მუნიციპალიტეტის მერი დავით ბახტაძე.

სამუშაო ჯგუფის შეხვედრას ესწრებოდნენ:

სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი- მუნიციპალიტეტის მერი დავით ბახტაძე.

სამუშაო ჯგუფის წევრები: მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები- მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები , მერის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში,მერიის სპეციალისტი გენდერულ საკითხებში და მუნიციპალიტეტს დაქვემდებარებული ა(ა)იპ-ებისა და შპს-ეების წარმომადგენლები.

დღის წესრიგი:

1 .სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024-2027წლების პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტის განხილვა, რომელიც შედგენილი იქნა მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი გეგმის დოკუმენტის, მერიის სტრუქტურული ერთეულების და საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე.

2. საბიუჯეტო განაცხადის ფორმების სამუშაო ჯგუფისათვის წარდგენა და წლის ბიუჯეტის პროექტის ფორმირების მიზნით ჭერების განსაზღვრა.

განხილვა:

სამუშაო ჯგუფმა მოისმინა მუნიციპალიტეტის მერის მოხსენება დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით და სამუშაო ჯგუფს მოკლედ

წარუდგინა ზოგადი ინფორმაცია სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტის შესახებ, რომელიც დაიგეგმა მხოლოდ საკუთარი შემოსავლების გათვალისწინებით(სპეციალური და კაპიტალური ტრანსფერების გარეშე.) და 15 ივლისისათვის ფინანსთა სამინისტროდან მიღებული ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრების და მაკროეკონომიკური პარამეტრების გათვალისწინებით.

მერმა ყურადღება გაამახვილა შემოსავლების ზრდაზე, განსაკუთრებით ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული საკუთარი შემოსავლების ზრდასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებებზე,ისაუბრა პრიორიტეტების ხარისხის გაუმჯობესებაზე და განიხილა ხარჯები კონკრეტული პრიორიტეტების მიხედვით.

2024-2027 წლების დასაფინანსებელ **ძირითად პრიორიტეტებზე** რესურსები გადანაწილდა შემდეგნაირად:

ინფრასტრუქტურის განვითარება 3129.0 ათ.ლარი.(საგზაო ინფრასტრუქტურული განვითარება, ხიდებისა და ბოგირების მშენებლობა, წყლის სისტემების ექსპლოატაცია მოვლა-შენახვა, გარე განათების მოწყობა, მოვლა-შენახვა;)

დასუფთავება და გარემოს დაცვა 3980,0 ათ ლარი.

განათლება 3961,0ათ ლარი(საბავშვო ბაღების გაერთიანების სუბსიდირება,საჯარო სკოლების ტრანსპორტირება და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება)

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი 4083.8 ათ. ლარი

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 2834.8ათ.

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები,წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლება 6651.3ათ.ლარი.

მანვე აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის არა უგვიანეს 5 ოქტომბერს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო წერილობით გვაცნობებს ინფორმაციას 2024 წლისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით შესაბამისი ბიუჯეტისათვის გადასაცემი ფინანსური დახმარებისა და გადასახადებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს, რომლის საფუძველზე დაზუსტდება პრიორიტეტების მოცულობა.

საფინანსო სამსახურმა(დ.ბაღდავაძე) უზრუნველყო საბიუჯეტო განაცხადის ფორმების სამუშაო ჯგუფისათვის წარდგენა.

აზრი გამოთქვეს: მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა, სამსახურის უფროსებმა, საფინანსო სამსახურის თანამშრომლებმა და დამსწრე პირებმა.

გამომსვლელებმა იმსჯელეს სამტრედიის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების მნიშვნელობებთან დაკავშირებით.

სამუშაო ჯგუფის მიერ მიღებული გადაწყვეტილება:

მიღებული იქნა გააწყვეტილება პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტის მოწონების შესახებ.